პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი,
14 მარტი,
1956 წ.
№ 32 (6742)
ფასი 15 კაპ.
გამოდის 24-ე წელი

# გამარჯვების დროშა

ГАМАРДЖВЕБИС ДРОША — орган Лагодехского райкома КП Грузии и Лагодехского районного Совета депутатов трудящихся

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

[illegible]

## სასოფლო სამეურნეო არტელის წესდების და საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციასა და არტელის საქმეთა მართვაში კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარების შესახებ

[illegible]

(დასასრული მე-2 გვერდზე)

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(გაგრძელება)

მის ნორმირება და ანაზღაურება, ბრიგადირთა და კოლმეურნეობების სხვა თანამდებობის პირთა მოვალეობის განსაზღვრა, რომელთა გადაწყვეტის დროს განსაკუთრებით გულმოდგინედ უნდა იყოს გათვალისწინებული თვითეული მეურნეობის პირობები. ნაცვლად კვალიფიციური დახმარებისა კოლმეურნეთა შრომის სწორ ორგანიზაციაში თვითეული მეურნეობის პირობების შესწავლის საფუძველზე, კოლმეურნეობებს თავს ახვევდნენ ზუსტად განსაზღვრულ ნორმებსა და სამუშაოთა შეფასებებს, ერთიან ნორმატივებსა და სამმართველო აპარატის აგების სქემებს და სხვ., თუმცა კოლმეურნეობათა მუშაობის პირობები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ბევრ მუშაკს ავიწყდება, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელი ნებაყოფლობით გაერთიანებულ გლეხთა კოლექტიური მეურნეობაა და რომ თვით არტელის წევრები განაგებენ არტელის პროდუქტებსა და ქონებას და წარმართავენ მის საქმიანობას საბჭოთა ხელისუფლების კანონების, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების შესაბამისად, სახელმწიფოს, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ინტერესებისათვის. ავიწყდებათ რა ეს, ასეთი მუშაკები ნაცვლად იმისა, რომ დროზე უთხრან, ურჩიონ კოლმეურნეობებს, თუ როგორ მოაწყონ სწორად მეურნეობა და გაუძღვნენ მას, ღრმად არ სწავლობენ საქმის მდგომარეობას კოლმეურნეობებში, არ სწვდებიან თვითეული ცალკე მეურნეობის თავისებურებებს და პრაქტიკულად ნაკლებად ეხმარებიან კოლმეურნეობებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინეს:

რადგან სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მიღების შემდეგ სერიოზული ცვლილებები მოხდა საკოლმეურნეო სოფელში—შეიქმნა ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეძენილია კოლექტიური მეურნეობის ორგანიზაციისა და გაძღოლის მდიდარი გამოცდილება, გაიზარდა კოლმეურნე გლეხობის პოლიტიკური შეგნება, კოლმეურნეობები განმტკიცებულია გამოცდილი კადრებით როგორც ქალაქებიდან გაგზავნილი ოცდაათიათასელების, ისე კოლმეურნე გლეხობაში გამოზრდილი კადრების საშუალებით, რომლებსაც უნარი შესწევთ უხელმძღვანელონ მსხვილ მრავალდარგოვან მეურნეობას და პრაქტიკულად სწორად გადაჭრან კოლექტიური მეურნეობის გაძღოლის საკითხები, ამ პირობებში კოლმეურნეობებს თვითონ შეუძლიათ გადაწყვიტონ კიდევ უფრო დამოუკიდებლად, ვიდრე აქამდე, საკოლმეურნეო ცხოვრების საკითხები, ამასთან გაითვალისწინონ სახელმწიფოს საერთო-სახალხო ინტერესები, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი ინტერესები და კოლმეურნეთა პირადი ინტერესები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნიათ რჩევა მისცენ კოლმეურნეობებს, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის უზრუნველყოფის მთავარი ამოცანის საფუძველზე, თვითონ შეავსონ და შეცვალონ სასოფლო-სამეურნეო არტელის მიერ მიღებული წესდების ცალკეული დებულებანი კოლმეურნეობის ადგილობრივი, კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაში შესწორებების, ცვლილებებისა და დამატებების შეტანისას საჭიროა მხედველობაში მიღებულ იქნას შემდეგი:

სოფლის მეურნეობის დაგეგმვის ახალი წესის საფუძველზე კოლმეურნეობებისათვის გადაცემული მიწის, როგორც კოლმეურნეობის ძირითადი სიმდიდრის ყველაზე რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა, კოლმეურნეობისა და მტს-ის წარმოების საშუალებათა, სამუშაო ძალის სრული გამოყენება, არამწარმოებლური ფულადი, ნატურალური და შრომითი დანახარჯების, ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების შემცირება. ამის საფუძველზე კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ამაღლება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, როგორც კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის შემოსავლის ზრდისა და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ძირითადი წყაროს გადიდება;

კოლმეურნეთა კომლების საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობის დადგენა არტელის საზოგადოებრივ მეურნეობაში კოლმეურნის ოჯახის შრომისუნარიან წევრთა შრომითი მონაწილეობის გათვალისწინებით. საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობის განსაზღვრისას მიღებულ იქნას მხედველობაში, რომ იმ კოლმეურნეთა ოჯახებს, რომელთა შემადგენლობაში არიან შრომისუნარიანი კოლმეურნეები, რომლებიც არ მუშაობენ კოლმეურნეობაში ან საკმაო შრომით მონაწილეობას არ იღებენ არტელის საზოგადოებრივ მეურნეობაში, ნაკლები საკარმიდამო მიწა ჰქონდეთ, ვიდრე იმ კოლმეურნეთა ოჯახებს, რომლებიც კეთილსინდისიერად მუშაობენ კოლმეურნეობაში. ამასთან არ უნდა იქნას დაშვებული საკარმიდამო მიწის ფონდის გადიდება კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მიწების ხარჯზე, არამედ, პირიქით, უნდა ეცადონ მის შემცირებას, რამდენადაც საზოგადოებრივ მეურნეობაში მიწების გამოყენება, როცა მტს-ში არის დიდძალი ტექნიკა და მაღალი მექანიზაცია, გაცილებით უფრო ხელსაყრელი იქნება და კოლმეურნეები საბოლოო ანგარიშით მნიშვნელოვნად მეტ შემოსავალს მიიღებენ;

პირუტყვის სულადობის დაწესება, რომელიც კოლმეურნის კომლის პირად სარგებლობაშია, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ მთელ რიგ რაიონებში, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებით მიკუთვნებული არიან განვითარებული მეცხოველეობის მიწათმოქმედების რაიონებისადმი, და ნახევრადსამომთაბარო და სამომთაბარო მეცხოველეობის ყოფილ რაიონებში, იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ბოლო დროს მეურნეობის მიმართულებაში დიდი ცვლილებები მოხდა, საჭირო იყოს დაწესებული რაოდენობისა, რომელიც შეიძლება ჰყავდეს კოლმეურნის კომლს. პირუტყვის წინათ დადგენილი რაოდენობისა ...

შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის დაწესება კოლმეურნეობას საზოგადოებრივ მეურნეობაში შრომის დანახარჯების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, აგრეთვე გამომუშავების ნორმებისა და სამუშაოთა შრომადღეებით შეფასებების შემუშავება, ამასთან გათვალისწინებულ იქნას მექანიზაციის დონე და კეთილსინდისიერად მომუშავე კოლმეურნეების მიერ მიღწეული ფაქტიური გამომუშავება და შრომადღეების ეკონომიური ხარჯვის საჭიროება;

კოლმეურნეობის საზოგადოებრივი წარმოების განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების პრინციპის ყოველი ღონისძიებით გამოყენება, არტელის უკეთ მომუშავე წევრთა წახალისება, კოლმეურნეთათვის ყოველთვიურად ავანსების მიცემის, როგორც კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდების დიდმნიშვნელოვანი სტიმულის შემოღება ... ნატურალური და ფულადი ფონ... მიზნისათვის საჭირო გარდამავალი ნატურალური და ფულადი ფონ... შექმნა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო რჩევას აძლევენ კოლმეურნეობებს ... უნარჩუნონ ტრაქტორისტებსა და სატრაქტორო ბრიგადების სხვა მუშაკებს, რომლებიც ჩარიცხული არიან მტს-ების მუდმივ სამუშაოზე და კოლმეურნეობაში ცხოვრობენ, საკარმიდამო ნაკვეთები კოლმეურნეთა კომლებისათვის დაწესებული ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ტრაქტორისტთა და მტს-ის სხვა მუდმივ მუშათა ოჯახის შრომისუნარიანი წევრები კოლმეურნეობაში არ გამოიმუშავებენ შრომადღეების დაწესებულ მინიმუმს, კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტილებით მათი საკარმიდამო ნაკვეთის ოდენობა შეიძლება შემცირდეს.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება მასში შეტანილი შესწორებებით, ცვლილებებითა და დამატებებით, რომელსაც მიიღებს კოლმეურნეთა საერთო კრება და რეგისტრაციაში გაატარებს რაიაღმასკომი, სასოფლო-სამეურნეო არტელის საქმიანობის ძირითადი კანონია და მისი დაცვა სავალდებულოა ამ კოლმეურნეობის ყველა წევრისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს არასწორად მიაჩნიათ, როცა კოლმეურნეთა საერთო კრებების გადაწყვეტილებებს კოლმეურნეობებიდან არტელის წევრების გარიცხვის, საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობის შემცირების და ზოგიერთ სხვა საკითხზე რაიაღმასკომები აუქმებენ სასოფლო-სამეურნეო არტელების წევრთა დაუკითხავად. ეს საბაბს აძლევს დაუდევარ კოლმეურნეებს ანგარიში არ გაუწიონ მთელი კოლექტივის აზრსა და ინტერესებს, ამცირებს საერთო კრებების როლს და კოლმეურნეთა პასუხისმგებლობას მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისათვის. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება, რომ კოლმეურნეთა საჩივრებს კოლმეურნეობიდან გარიცხვის, საკარმიდამო ნაკვეთის ოდენობის შემცირებისა და სხვა საკითხებზე, რომლებიც რაიაღმასკომში შედის, ხელმეორედ განიხილავდეს კოლმეურნეთა საერთო კრება, რომლის დადგენილება ამის შემდეგ საბოლოო იქნება.

იმის გამო, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში, განსაკუთრებით სამხრეთის ... უბნო კოლმეურნეობებში, ზოგიერთი დაუდევარი კოლმეურნე და კოლმეურნეობის დაბების ტერიტორიაზე მცხოვრები ცალკეული პირები არ ეწევიან საზოგადოებრივ-ნაყოფიერ შრომას, ესე იგი სისტემატურად არ მუშაობენ კოლმეურნეობებში, სახელმწიფო საწარმოებსა და დაწესებულებებში ან კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მაგრამ პატიოსნად მომუშავე კოლმეურნეებთან თანასწორ პირობებში იმყოფებიან, სწორი იქნება, რომ ამ კატეგორიის პირთა შესახებ კოლმეურნეობებმა თვითონ გადაწყვიტონ, მიეცეთ თუ არა მათ შესაძლებლობა ისარგებლონ საკარმიდამო ნაკვეთებით, საძოვრებითა და სათიბებით.

იმის გამო, რომ მთელ რიგ მსხვილ კოლმეურნეობებში, რომლებიც რამდენიმე დასახლებული პუნქტი აქვთ, გაძნელებულია კოლმეურნეთა საერთო კრებების რეგულარული მოწვევა, მიზანშეწონილია, რომ კოლმეურნეობებმა პირობების მიხედვით თვითონ განსაზღვრონ წესი, თუ სად უნდა იქნას განხილული და გადაწყვეტილი საკოლმეურნეო ცხოვრების ესა თუ ის საკითხი: ან საერთო კრებებზე, ან რწმუნებულთა, ნდობით აღჭურვილ პირთა კრებებზე, რომლებსაც კოლმეურნეები ირჩევენ, ან ბრიგადების კრებებზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ რაიკომების, საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, რაიაღმასკომების, საოლქო აღმასკომების, სამხარეო აღმასკომების, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ყურადღება მიაქციეს იმას, რომ საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციასა და არტელის საქმეების მართვაში კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარება კი არ ამცირებს, არამედ ზრდის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებლობას კოლმეურნეობებში საქმის მდგომარეობისათვის და მოითხოვენ ამაღლდეს სოფლად პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონე, გაძლიერდეს კოლმეურნეთა შემოქმედებითი აქტივობა, ამოძრავდეს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მთელი ძალები და საშუალებანი და გაძლიერდეს ჩვენი კადრების პასუხისმგებლობა თვითეულ კოლმეურნეობაში საქმის მდგომარეობისათვის.

## კოლმეურნეთათვის ყოველთვიურად ავანსების მიცემისა და კოლმეურნეობებში შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს, რომ უკანასკნელ წლებში გაიზარდა კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი და გადიდდა ფულის გაცემა კოლმეურნეებისათვის შრომადღეებზე. მაგრამ კოლმეურნეობებში არსებული პრაქტიკა, როცა შემოსავლის ძირითადი ნაწილი, რომელიც უნდა განაწილდეს შრომადღეების მიხედვით, კოლმეურნეებს ეძლევათ მხოლოდ სამეურნეო წლის დამთავრების შემდეგ, საკმაოდ არ უწყობს ხელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდას და არ შეესაბამება საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების შემდგომი გადიდების ამოცანებს.

ბევრი კოლმეურნეობა იყენებს შემოსავლის განაწილების პროგრესულ სისტემას, როცა კოლმეურნეებს ავანსები ეძლევათ ყოველთვიურად საზოგადოებრივ მეურნეობაში გამომუშავებულ ყველა შრომადღეზე. კოლმეურნეთათვის ავანსების მისაცემად კოლმეურნეობები ქმნიან გარდამავალ ფულად და სასურსათო ფონდებს.

კოლმეურნეთათვის ყოველთვიურად ავანსების მიცემა კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდების დიდმნიშვნელოვანი სტიმულია, ამაღლებს შრომადღის როლს და ზრდის კოლმეურნეთა დაინტერესებას საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებით.

მომწიფდა აგრეთვე საჭიროება, რომ გადაისინჯოს კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების არსებული წესი. ამჟამად, როცა კოლმე...

(დასასრული მე 3 გვერდზე)

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

ნობები თვითონ საერთო-სახელმწიფოებრივი და საერთო-საკოლმეურნეო ინტერესების გათვალისწინებით გეგმავენ თავიანთი მეურნეობის განვითარებას. დამატებითი ანაზღაურების არსებული წესი, როცა მისი გაცემა გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის წესდებოდა თანაბარი ოდენობით ოლქის, მხარისა და რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობისათვის თვითეული კოლმეურნეობის წარმოების დონისა და თავისებურებათა გაუთვალისწინებლად, ამუხრუჭებს კოლმეურნეობათა ინიციატივას და ხელს არ უწყობს კეთილსინდისიერად მომუშავე კოლმეურნეთა წახალისებას, რომელნიც გადაჭარბებით ასრულებენ საგეგმო დავალებებს ამა თუ იმ დარგში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ამჟამად, როცა შექმნილია საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის საჭირო პირობები, კოლმეურნეობები ორგანიზაციულად განმტკიცდნენ და შეიძინეს კოლექტიური მეურნეობის გაძღოლის საქმით გამოცდილება, საჭირო აღარ არის დამატებითი საზღაურის მიცემის წინათ რეკომენდებული წესი და ოდენობა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებისა და კოლმეურნეობათა შემოსავლიანობის გადიდებასთან ერთად განუხრელად იზრდება კოლმეურნეთა შრომის ძირითადი ანაზღაურება, ამიტომ დამატებითი ანაზღაურება უნდა იყოს კარგი მუშაობის ანაზღაურების წახალისებელი ფორმა.

შრომის დამატებითი ანაზღაურება დაგეგმვის ახალი წესის დროს, როცა კოლმეურნეობა ყველა არსებული შესაძლებლობის სრული გამოყენების გათვალისწინებით თვითონ გეგმავს საკოლმეურნეო წარმოებას და, მიღებული გეგმის მიხედვით, უწესებს დავალებებს ბრიგადებს (რგოლებს), კოლმეურნეობებს, რომლებიც მეცხოველეობასა და მეურნეობის სხვა დარგებში მუშაობენ, უნდა მიეცეთ იმ კოლმეურნეებს, სპეციალისტებსა და მტს-ების სატრაქტორო ბრიგადების მუშებს, რომლებიც, იმაღლებენ რა ცოდნის დონეს, იჩენენ შემოქმედებით ინიციატივას და საკოლმეურნეო წარმოებაში ნერგავენ ყოველივე მოწინავესა და პროგრესულს, გადაჭარბებით ასრულებენ საგეგმო დავალებებს, რომლებიც კოლმეურნეობამ იკისრა, და თავიანთი კარგი მუშაობით ქმნიან სოფლის მეურნეობის დამატებით პროდუქციას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უფრო სწორად მიაჩნიათ, რომ კოლმეურნეების, ბრიგადების (რგოლების), მტს-ების სატრაქტორო ბრიგადების მუშაკების, სპეციალისტებისა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი შემადგენლობის შრომის დამატებით ანაზღაურებას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის აწესებდეს და ამტკიცებდეს კოლმეურნეთა საერთო კრება. დამატებითი ანაზღაურების გაცემის ოდენობის განსაზღვრის დროს საჭიროა გათვალისწინებულ იქნას წარმოების დონე, რომელსაც მიაღწია ბრიგადამ (რგოლმა) მემინდვრეობაში, მეცხოველეობაში და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში, ამასთან დაცულ იქნას დაახლოებით თანაბრად საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგში მომუშავე კოლმეურნეთა წახალისების პრინციპი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინეს:

საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების შემდგომი გადიდების მიზნით რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს საერთო კრებების გადაწყვეტილებით აძლიონ კოლმეურნეებს ყოველთვიურად წლის განმავლობაში ავანსად შრომადღეებზე სულ ცოტა 25 პროცენტი საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგისაგან ფაქტიურად მიღებული ფულადი შემოსავლისა და იმ ფულადი სახსრების 50 პროცენტი, რომლებსაც იღებენ ავანსად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონტრაქტაციით, შესყიდვითა და სავალდებულო ჩაბარებით.

სახელმწიფო ბანკს დავალებული აქვს კოლმეურნეობათა მოთხოვნით ჩარიცხოს მთელი მიღებული შემოსავლის 25 პროცენტი და იმ სახსრების 50 პროცენტი, რომლებიც მიღებულია როგორც ავანსები პროდუქციის კონტრაქტაციით, შესყიდვითა და სავალდებულო ჩაბარებით, განსაკუთრებულ მიმდინარე ანგარიშზე, საიდანაც ფულის ხარჯვა კოლმეურნეობის გამგეობას შეუძლია მხოლოდ კოლმეურნეებისათვის ავანსების მისაცემად და შრომადღეებზე გასანაწილებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს და „ცენტროსოიუზს“ აძლიონ კოლმეურნეობებს, დაწყებული 1956 წლიდან, მათი მოთხოვნისამებრ ფულადი ავანსები იმ მარცვლეულის, მზესუმზირას და სხვა ზეთოვანი კულტურების, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხორცის ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით, რომლებიც სახელმწიფოს უნდა ჩააბარდეს სავალდებულო ჩაბარების წესით.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი მოვალეა შესაბამისი კრედიტი მისცეს დამამზადებელ ორგანიზაციებს აღნიშნული მიზნისათვის.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს დაევალათ დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შეიმუშაონ და ერთი თვის ვადაში დაამტკიცონ ინსტრუქცია კოლმეურნეობებისათვის ზემოაღნიშნული პროდუქტების დასამზადებლად ავანსების მიცემის წესის შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ითვალისწინებს, რომ კოლმეურნეობები კაპიტალდაბანდებებისათვის მიღებულ გრძელვადიან სესხებს პირველ რიგში ფარავენ საერთო ფულადი შემოსავლიდან, ამასთან გადახდილ თანხებს გაიღებენ განუყოფელი ფონდების ხარჯზე.

კოლმეურნეობებს რჩევა მიეცათ კოლმეურნეთა საერთო კრებების გადაწყვეტილებით მეცხოველეობის და სხვა შენობათა და ნაგებობათა მშენებლობაზე, აგრეთვე მრავალწლიან ნარგავთა გასაშენებლად დახარჯული შრომადღეების ფულადი ანაზღაურება გაიღონ ფულადი განუყოფელი ფონდების ხარჯზე შემოსავალ-გასავლის დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო რჩევას აძლევენ კოლმეურნეობებს თვითონ დააწესონ მეცხოველეობაში მომუშავე ბრიგადების (რგოლები), კოლმეურნეების, მტს-ების სატრაქტორო ბრიგადების მუშაკების, სპეციალისტებისა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი შემადგენლობის ნატურითა და ფულით დამატებითი ანაზღაურების წესი და ოდენობა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის იმ გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, რომლებიც კოლმეურნეობებმა შეიმუშავეს და დაამტკიცეს მთელი არსებული რეზერვების სრული გამოყენების გათვალისწინებით.

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

# მუშა-მოსამსახურეებისათვის დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 8 მარტის ბრძანებულების შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

1. 1956 წლის 10 მარტიდან საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში შემოღებულ იქნას ნორმალურთან შედარებით ორი საათით შემცირებული, ესე იგი ექვსი საათის ხანგრძლივობის სამუშაო დღე.

იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებსაც ამჟამად აქვთ შვიდი საათის სამუშაო დღე, დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში სამუშაო დღის ხანგრძლივობა დაწესდეს აგრეთვე ექვსი საათი. იმ პირებისათვის, რომლებსაც აქვთ ექვსი და ნაკლები ხნის სამუშაო დღე, სამუშაო დღის ხანგრძლივობა დასვენების წინა და უქმეების წინა დღეებში არ შეიცვალოს.

უქმე დღეებში მუშაობა უნდა იწყებოდეს ჩვეულებრივ დროს და შეიძლება წარმოებდეს სადილისათვის შესვენების მოუწყობლად საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის შეთანხმებით პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან.

2. განუწყვეტელ წარმოებებში, აგრეთვე სამუშაოთა ცალკეულ დარგებსა თუ სახეობებში, რომლებშიც წარმოების პირობების მიხედვით შეუძლებელია შემცირებული სამუშაო დღის შემოღება დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში, მუშებსა და მოსამსახურეებს დასვენების და უქმე დღის ყოველ ოთხ წინა დღეში, რომლებშიც რვა-რვა საათს იმუშავეს, მიეცეთ დამატებით ერთი დასვენების დღე.

ცალკეულ სეზონურ სამუშაოებზე, სადაც დასვენების დამატებითი დღეების მიცემა სეზონის პერიოდში შეუძლებელია, დაიშვება გამონაკლისის სახით ასეთი დღეების შესაბამისი ხანგრძლივობის დამატებითი დასვენების დღეების მიცემა სეზონთა შორის პერიოდში.

სამუშაოთა იმ დარგებისა და სახეობათა ნუსხას, რომლებშიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ პუნქტში აღნიშნული კომპენსაციები, აწესებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, აგრეთვე საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების მინისტრები, პროფკავშირთა სათანადო ცენტრალურ კომიტეტებთან შეთანხმებით.

3. შემოღებულ იქნას დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში მუშებისა და მოსამსახურეების შრომის ანაზღაურების შემდეგი წესი:

ა) დროითი ანაზღაურებისას ხელფასი მიცემულ იქნას, როგორც სრული სამუშაო დღისათვის;

ბ) სანარდო ანაზღაურებისას ხელფასი გაიცეს შესრულებული სამუშაოს თანახმად. ამასთან საწარმოთა ხელმძღვანელები ვალდებული არიან უზრუნველყონ მუშათა უფრო ნაყოფიერი მუშაობის პირობები წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, სამუშაო ადგილის უკეთ მოწყობის, გაცდენისა და სამუშაო დროის სხვა დანაკარგის ლიკვიდაციის გზით, რათა მუშების თვიური ხელფასი არ შემცირდეს დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში სამუშაო დროის ხანგრძლივობის შემცირებასთან დაკავშირებით.

4. დაევალოს სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ შემცირებულ სამუშაო დღეზე გადასვლას, სამინისტროებსა და უწყებებში ხელფასის დაწესებული ფონდების ფარგლებში, აგრეთვე წარმოების მოცულობის, შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის თვითღირებულების შესახებ დაწესებულ დავალებათა უთუო შესრულებას წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, შინაგანი რეზერვების ყველაზე სრული გამოყენებისა და შტატებში ზედმეტობის ლიკვიდაციის საფუძველზე.

5. დაევალოთ სამინისტროთა, უწყებათა ხელმძღვანელებს, აგრეთვე ადგილობრივ ორგანიზაციებს უზრუნველყონ იმ აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც დაკავშირებულია მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესებასთან დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში: ცვლილებანი საგარეუბნო და ადგილობრივი ტრანსპორტის, საზოგადოებრივი კვების საწარმოების, სავაჭრო და კომუნალური საწარმოების, კულტურულ-საგანმანათლებლო და თეატრალურ-სანახაობითი, აგრეთვე საბავშვო, სამედიცინო და სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის რეჟიმში.

## ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი ვიზიტის გამო დიდ ბრიტანეთში

როგორც საბჭოთა პრესა უკვე იუწყებოდა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღეს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის სერ ანტონი იდენის მიწვევა მიმდინარე წლის გაზაფხულზე ესტუმრონ შეერთებულ სამეფოს.

ამჟამად მიღწეულია შეთანხმება, რომ ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი დიდ ბრიტანეთში ჩავლენ 18 აპრილს და იქ დარჩებიან 10 დღეს. (საქდესი).

## ლაგოდეხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს სესია

ამ დღეებში შედგა ლაგოდეხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს მეხუთე მოწვევის მეხუთე სესია.

სესიამ მოისმინა და განიხილა საკითხი რაიონის 1955 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულებისა და 1956 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ლაგოდეხის რაიონის საფინანსო განყოფილების გამგე დეპუტატი ი. აბრამიშვილი, ხოლო თანამოხსენებით — საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი ი. ნოზაძე.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ა. ხატიაშვილმა (ლაგოდეხის რაიმრეწვკომბინატის დირექტორი), დეპუტატმა ო. კიკილაშვილმა (ლაგოდეხის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), დეპუტატმა ივ. ყაველაშვილმა (სოფელ ჰეპუკიანის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), შ. კოტაშვილმა (ლაგოდეხის რაიკოოპკავშირის სავაჭრო განყოფილების გამგე), შ. ჯინჭარაძემ (კულტურის რაიონული განყოფილების გამგე), გ. შიოთნიშვილმა (ლაგოდეხის საამშენებლო-სარემონტო კანტორის უფროსი), ნ. ყაველაშვილმა (ლაგოდეხის კომუნალური განყოფილების გამგე), გ. ჭუმბურიძემ (ლელიანის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), დეპუტატმა გ. ჯალიაშვილმა (ლაგოდეხის საავადმყოფოს მთავარი ექიმი).

სესიამ ერთხმად დაამტკიცა ლაგოდეხის რაიონის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

სესიამ განიხილა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები: სესიამ ლაგოდეხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან გაათავისუფლა დეპუტატი ი. აბრამიშვილი სამუშაო გადატვირთვის გამო, ხოლო ი. ჩირინაშვილი—საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სესიამ რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად და საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ დაამტკიცა ვ. კობერიძე.

# საგაზაფხულო სამუშაოების წარმატებით ჩატარებისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები ახალ გრანდიოზულ ამოცანებს აყენებენ სოფლის მეურნეობის დარგში. ყრილობის დირექტივები ითვალისწინებენ 1960 წლისათვის მარცვლეულის საერთო წარმოება გადიდებულ იქნას 11 მილიარდ ფუთამდე. ამ ამოცანის შესრულებისათვის პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან სათავეში ჩაუდგნენ მასების შრომით აქტივობას, დარაზმონ ისინი ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მიღებისათვის. ამიტომ ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საგაზაფხულო სამუშაოების ორგანიზებულად მომზადებას და ჩატარებას. გაითვალისწინა რა ეს მდგომარეობა, სოფელ ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ ღია პარტიულ კრებაზე განიხილა საკითხი საგაზაფხულო სამუშაოების დროულად მომზადება-ჩატარების შესახებ. კრებას კომუნისტების გარდა დაესწრო კოლმეურნეობის აქტივი—ბრიგადირები, რგოლის ხელმძღვანელები და მოწინავე კოლმეურნეები.

საგაზაფხულო სამუშაოების მომზადებისა და წარმატებით ჩატარების შესახებ პარტიულ კრებაზე ინფორმაცია გააკეთა კოლმეურნეობის აგრონომმა გ. კვიტაშვილმა. მან ვრცლად ილაპარაკა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საგაზაფხულო სამუშაოების მზადების საქმეში. სახელდობრ, აღინიშნა, რომ კოლმეურნეობამ მიმდინარე წელს უნდა დაამუშაოს 160 ჰექტარი თამბაქო, 70 ჰექტარი სიმინდი, 18 ჰექტარზე უნდა დაირგას რეჰანი და სხვა. თამბაქოს სასათბურე მეურნეობა უნდა მოეწყოს 3.400 კვადრატულ მეტრზე. კრებაზე ითქვა, რომ მთელი რიგი საწარმოო ბრიგადები უდარდელად ეკიდებოდნენ ამ საქმეს. ბევრს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მომარაგებული ტყის მიწა, ნაკელი, ჩარჩოები და მინა, გარდა ამისა, კოლმეურნეობას კონდიციაზე არ ჰქონდა აყვანილი სათესლე სიმინდი, არ იყო მოვლილი მრავალწლიანი ნარგავები და სხვა.

კრებაზე კომუნისტებმა და უპარტიო ბრიგადირებმა კრიტიკითა და თვითკრიტიკით აღნიშნეს ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებები. № 2 ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. ა. გიგილაშვილმა მკაცრად გააკრიტიკა ცალკეული ბრიგადების საქმიანობა, განსაკუთრებით—თამბაქოს სასათბურე მეურნეობის მოუწყობლობის საქმეში, რადგან ჯერ კიდევ სუსტად მიმდინარეობდა თამბაქოს თესვა ნახევრადთბილ კვალსათბურებში. მან ილაპარაკა აგრეთვე თავის ბრიგადაში არსებულ ნაკლოვანებებზე და გამოსწორების გზებზე.

პარტიულმა კრებამ საგაზაფხულო სამუშაოების მზადების საქმეში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის მიიღო კონკრეტული ღონისძიება, რომელთა განხორციელებისათვის მტკიცედ დაირაზმნენ კომუნისტები. კრების შემდეგ ფართოდ გაჩაღდა მზადება საგაზაფხულო სამუშაოების დროულად ჩატარებისათვის. ამჟამად კოლმეურნეობაში უკვე მომზადებულია სიმინდის თესლი, მზრალად მოხნულია სასიმინდე ნაკვეთი, მოხნულ იქნა 9 ჰექტარი ვენახი და უკვე დაიწყო მისი გასხვლა. შემოღობილ იქნა 3 ჰექტარი ხეხილის ბაღი. დიდ ყურადღებას ვაქცევთ აგრეთვე ყაზალნიყის ვარდის მოვლა-პატრონობას, რიგთაშორის მოხნულია 5 ჰექტარზე, შეტანილია მინერალური სასუქები, ამჟამად მთავრდება ძირების შემობარვა. კოლმეურნეობას უკვე მზად აქვს თესლი და ნიადაგი საკვები ჭარხლისა და რეჰანის დასათესად. პარტიულმა ორგანიზაციამ დასახა ღონისძიება, რომ 15 მარტიდან მასიურად დაიწყოს კარტოფილის, საკვები ჭარხლისა და რეჰანის თესვა. უკვე დამთავრებულია 1.800 კვადრატულ მეტრ ნახევრადთბილ კვალსათბურში თამბაქოს თესვა, მალე დაიწყება თესვა ღია კვლებში.

მაგრამ საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადების საქმეში აქ ყველაფერი რიგზე როდია. დაუმთავრებელი გვაქვს მანქანა-იარაღების რემონტი, ჯერ კიდევ ნაკლოვანებები გვაქვს შრომის ორგანიზაციის მოწესრიგების საქმეში და სხვა.

ჩვენი პარტიული ორგანიზაცია კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად ყველა ღონისძიებას გაატარებს იმისათვის, რომ წარმატებით ჩაატაროს საგაზაფხულო სამუშაოები.

ნ. ნანობაშვილი,
კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი.

## თერგს შეუცვალეს კალაპოტი

თერგის ქვემო წელში, სტანიცა კარგალინსკაიას (გროზნოს ოლქი) მახლობლად შენდება დიდი ჰიდროკვანძი, რომელიც უახლოეს წლებში უზრუნველყოფს თერგის ბელტის 190.000 ჰექტარზე მეტი მიწის მორწყვას. წყლის მიწოდების რეგულირებისათვის აქ სპეციალურად გათხრილ კალაპოტში აგებულია მძლავრი რკინა-ბეტონის კაშხალი.

ჰიდრომშენებლებმა დაამთავრეს მუშაობის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი—გადახიდეს თერგის 140 მეტრიანი ძველი კალაპოტი, წყლის მთელი მასა ახლა მიდის კაშხალით. პირველი მაისისათვის ჰიდროკვანძი უნდა ჩადგეს მწყობრში. (საქდესი).

## სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე

ბიოლოგიური დისციპლინების სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისათვის აფენის საშუალო სკოლას კარგად ეხმარება სასწავლო საცდელი ნაკვეთი, რომელსაც 0,25 ჰექტარი ფართობი უკავია. იგი შემოღობილი და სათანადოდ დაცულია.

აქ შარშან 300 კვადრატულ მეტრ ფართობზე ჩაიყარა ვაზი. ნაკვეთის მთელ სიგრძეზე შენდება თალარი, რომელსაც რამდენიმე მეტრი სიგანე ექნება. აქ ნახავთ მსხლის, ვაშლის, თხილის, ალუბლის, ქლიავის ნერგებს.

ამჟამად ნაკვეთში მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები. მთელი ნაკვეთი დამუშავებული და სიმინდისა და ბალჩეულ-ბოსტნეული კულტურების მოსაყვანად გამზადებულია. აქ თბილ კვალსათბურში უკვე აღმოცენებულია პამიდორის თესლი. განყოფილებებშია წარ… ნილი ნივრისა და ბ… ნათესი, აქედან ნიორ… ამოსულია. …ნათესს აქვს ეტიკეტი.

ამასთან ერთად ნ… ხელმძღვანელს ლ. …ვილს არ შეიძლება არ …დუროთ ის, რომ ძლიერ… რე ფართობის მოუ… მოუვლელია შემოღობ… ბლის ნათესი, ერთ… ნაკვეთი დაჭაობებს… ყველა კულტურის ნათ… გააჩნია ეტიკეტი.

ამ ნაკლოვანებების გამ…რებით სასწავლო-საცდ… ნაკვეთი უფრო მეტ სარგ…ბას მოუტანს სკოლას… რო ხელსაყრელი იქნება… გამოყენება სასწავლო მი…სათვის.

ი. ნადა…

## სპორტული დღე ლაგოდეხში

რაც უფრო ახლოვდება ხალხთა საკავშირო და რესპუბლიკური სპარტაკიადა, მით უფრო ძლიერდება ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობა ჩვენს რაიონში. ეს გამოვლინდა 11 მარტს სპორტის სამ სახეში ჩატარებულ რაიონულ შეჯიბრებაში.

ველოსპორტში პირადგუნდურ პირველობაზე მოწყობილ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 49 სპორტსმენი. მანძილი განისაზღვრა ვაჟებისათვის 50 კილომეტრით, ქალებისათვის—20. გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა მ. ი. კალინინის სახელობის ლაგოდეხის საშუალო სკოლამ, მეორე—ს. მ. კიროვის სახელობის ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმმა, მესამე—ვარდისუბნის საშუალო სკოლამ. ინდივიდუალური პირველი ადგილი დაიკავა: ვაჟებიდან—ლაგოდეხის რუსული საშუალო სკოლის მოსწავლე ალიკა მამაიაშვილმა—მანძილი დაფარა 1 საათში, 34 წუთში და 45 წამში. მეორე ადგილი—ბუდიონოვკის საშუალო სკოლის მოსწავლემ ზურაბ ქუბლაშვილმა (1 საათი და 35 წუთი), მესამე—ლაგოდეხის რუსული საშუალო სკოლის მოსწავლემ ვალოდია პანფეროვმა (1 საათი, 35 წუთი და 15 წამი). გოგონებიდან პირველი ადგილი ხვდა ბუდიონოვკის საშუალო სკოლის მოსწავლე თინა ბოქოლიშვილს—მანძილი დაფარა 1 საათში და 2 წუთში, მეორე ადგილი—ს. მ. კიროვის სახელობის ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეს ზინა ბარნაბიშვილს (1 საათი, 2 წუთი და 25 წამი), მესამე—ლაგოდეხის რუსული საშუალო სკოლის მოსწავლეს თინა ბოგდანოვას (1 საათი, 2 წუთი და 30 წამი).

აღსანიშნავია, რომ ველოსპორტში მოწყობილ შეჯიბრებაში ვერც ერთი ველოსიპედისტის გამოყვანა ვერ შესძლო ნებაყოფლობით სასოფლო სპორტულ საზოგადოება „კოლმეურნეს" რაიონულმა საბჭომ; ასევე ითქმის ნსს „ბურევესტნიკის" რაიონულ საბჭოზეც.

მძლეოსნობაში შეჯიბრება მიმდინარეობდა ასაკების მიხედვით—1942 და 1943, 1946 და 1947 წლებში დაბადებულთა მონაწილეობით—ვაჟებისათვის და გოგონებისათვის ცალკე. მძლეოსნობაში შეჯ…ბა ჩატარდა გაზეთ „ნ…ლენინელის" თასზე. პირ…მაში იყო რბენა 60 მ… და ხტომა სიგრძეზე. გ…რი პირველი ადგილი მ… აფენის საშუალო სკ… მეორე—ლაგოდეხის რუს… საშუალო სკოლამ, ხოლო სამე—ბაისუბნის საშ… სკოლამ. ასაკების მიხ… ინდივიდუალური პირველ… გილები მიეკუთვნათ … ნიანის და თამარიანის … წლიანი, ლაგოდეხის რუს… ლელიანის, ბაისუბნის, ბუდ… ნოვკის და აფენის საშ… სკოლების მოსწავლეებ… მოდებაძეს, ბარბაქაძეს, … ლოვიოვს, სიმონიანს, … ტენკოს, გლუვიშკინს, დ. ქაცაძეს, ა. ქერესელიძეს, შაროევს, ავდოლიანს … სხვებს.

სპორტის ამ სახეში მოწყ…ბილ შეჯიბრებაში მონაწილე…ბა არ მიუღიათ ულიანოვკ… და ცოდნისკარის რვაწლიან…ილია ჭავჭავაძის სახელობ… ლაგოდეხის და ყარსუბნის სა…ალო სკოლების მძლეოსნებ…

იმავე დღეს საღამო… 7 საათიდან ლაგოდეხის… კულტურის სახლში მოეწყ… კლასიკური ჭიდაობა რაიონ… ფალავნობაზე წონების მიხედ…ვით (სპორტის ამ სახეობაში რაიონში პირველად ჩატარდა შეჯიბრება). მძიმე წონაში რაიონის პირველობა მოიპოვა ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლემ გიორგი ექვთიმიშვილმა, მეორე—ბაისუბნელმა გუგულ… ტაბატაძემ; მჩატე წონაში პირველ ადგილზე გამოვიდა ლაგოდეხის მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მოსწავლე ჯონდო ჯანიაშვილი, მეორეზე—სოფელ ჩადუ…ნიანის მცხოვრები გიორგი წეველიძე. აღსანიშნავია, რომ წეველიძემ და ტაბატაძემ კარგი ტექნიკა გამოავლინეს, რისთვისაც რაიონის ნაკრებ გუნდში შევიდნენ.

ამ შეჯიბრების შედეგების მიხედვით ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა დააკომპლექტა სპარტაკიადში მონაწილეთა გუნდები.

მ. ლვანიაშვილი.

რედაქტორი ი. ნოზაძე.

გაზეთ „გამარჯვების დროშის" სტამბა. ლაგოდეხი კომუნალური ქ. № 12